

## 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდის პროგრამა სამოქალაქო განათლებაში

პროგრამა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას საზოგადოებრივ მეცნიერებებში (საბაზო და საშუალო საფეხური) და გრიფირებულ სახელმძღვანელოებს.

### გამოცდაზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა;
- სოციალურ-პოლიტიკური ცნებების, ტერმინების, კონცეფციებისა და სტრუქტურების ცოდნა და ადეკვატურად გამოყენება;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესებისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების გამოვლენა, მსგავსება განსხვავებების მიგნება, შედარებითი/კრიტიკული ანალიზი;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა;
- ფაქტსა და მოსაზრებას შორის განსხვავების, წყაროს სანდოობის შეფასების უნარი;
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, ცხრილი, დიაგრამა) წარმოდგენილი ინფორმაციის ორგანიზებისა და ანალიზის უნარი;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების, პროცესების, სიტუაციების შეფასება;
- პრობლემის გააზრება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა;
- პრობლემის გადაწყვეტის პროცესში მოქალაქეობის კონცეფციების გამოყენების უნარი;
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა, დაცვა;
- აზრის ლოგიკურად, დამაჯერებლად, თანმიმდევრულად ჩამოყალიბების უნარი;
- საკუთარი დამოკიდებულების არგუმენტირების უნარი
- ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული არგუმენტაციის უნარი.

### სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი (რეპროდუცირება);
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, დიაგრამა) წარმოდგენილი მასალიდან საჭირო ინფორმაციის გამოყოფა (იდენტიფიცირება);
- ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა სახით გამოხატვა (ტრანსფორმაცია);
- საპროგრამო მასალის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი (პროდუცირება);
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი (თავისუფალი პროდუცირება).

## სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა

საკითხი	საკითხის დაზუსტება
1. პიროვნება და საზოგადოება	<p>1.1. პიროვნების არსი, იდენტობა, სოციალიზაცია, პიროვნული განვითარება;</p> <p>1.2. პიროვნების ადგილი და როლი საზოგადოებაში;</p> <p>1.3. აქტიური მონაწილეობის ფორმები და მეთოდები: ეფექტური კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ლიდერობა, სტრატეგიული დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება, პროექტის მომზადება, დისკუსია და დებატების წარმოების წესები, კვლევა;</p>
2. მრავალფეროვანი გარემო და მშვიდობიანი თანაარსებობა	<p>2.1. კულტურა და მისი მრავალფეროვნება;</p> <p>2.2. რელიგია, როგორც კულტურის ფენომენი;</p> <p>2.3. სტერეოტიპი, სტიგმა;</p> <p>2.4. თანასწორობა, დისკრიმინაცია, დისკრიმინაციის სახეები;</p> <p>2.5. ტოლერანტობა;</p> <p>2.6. საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება;</p>
3. კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა	<p>3.1. პიროვნული და საზოგადოებრივი კონფლიქტი, კონფლიქტის ტიპები, გამომწვევი მიზეზები, კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები, კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიები, კონფლიქტის მოგვარების გზები;</p> <p>3.2. შეიარაღებული კონფლიქტი, დევნილები და ლტოლვილები;</p> <p>3.3. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები;</p> <p>3.4. საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლები;</p> <p>3.5. საერთაშორისო არასამთავრობო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები;</p> <p>3.6. საქართველოს ურთიერთობების პრინციპები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან;</p>
4. სახელმწიფო და სამართალი	<p>4.1. სახელმწიფო, სახელმწიფო მმართველობა, მმართველობის ფორმები, ნიშნები, ფუნქციები, მოწყობა, სახელმწიფოს ტიპები;</p> <p>4.2. პოლიტიკა, პოლიტიკური იდეოლოგიები, პოლიტიკური რეჟიმები;</p> <p>4.3. ხელისუფლების არსი და მიზანი, კონსტიტუციური</p>

	<p>მმართველობა;</p> <p>4.4. სამართლებრივი სახელმწიფო, მისი მახასიათებლები, სამართლებრივი კულტურა;</p> <p>4.5. კანონის უზენაესობა და კანონიერება;</p> <p>4.6. ადგილობრივი თვითმმართველობა;</p> <p>4.7. საქართველოში სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპები;</p> <p>4.8. საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობა და მისი კავშირი საერთაშორისო სამართალთან;</p> <p>4.9. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, კონსტიტუციის სახეები;</p> <p>4.10. საქართველოს კონსტიტუციონალიზმის მოკლე ისტორია;</p> <p>4.11. საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები;</p>
<p>5. დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები</p>	<p>5.1. დემოკრატიის მიზნები, ღირებულებათა საფუძვლები და პრინციპები;</p> <p>5.2. თანამედროვე დემოკრატიის განვითარების ტენდენციები, წარმომადგენლობითი დემოკრატია;</p> <p>5.3. დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში;</p> <p>5.4. დემოკრატიის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები საქართველოში;</p>
<p>6. სამოქალაქო საზოგადოება და მონაწილეობა</p>	<p>6.1. საზოგადოებრივი ინტერესები და სამოქალაქო საზოგადოება;</p> <p>6.2. სამოქალაქო საზოგადოება: არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, ინტერესთა ჯგუფები და არაფორმალური საზოგადოებრივი გაერთიანებები;</p> <p>6.3. საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა;</p>
<p>7. მოქალაქეობა</p>	<p>7.1. მოქალაქის სოციალური როლები;</p> <p>7.2. მოქალაქის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა;</p> <p>7.3. მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაში, აქტიური მოქალაქეობა;</p> <p>7.4. სახელმწიფო მოხელე და საზოგადოებრივი კონტროლი;</p> <p>7.5. მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;</p>
<p>8. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები</p>	<p>8.1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საფუძვლები;</p> <p>8.2. ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;</p> <p>8.3. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არსი;</p>

	<p>8.4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია;</p> <p>8.5. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები;</p> <p>8.6. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები;</p>
9. მდგრადი განვითარება	<p>9.1. მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები;</p> <p>9.2. განათლება და მისი ხელმისაწვდომობა;</p> <p>9.3. სოციალური დაცვა და მისი გარანტიები;</p> <p>9.4. ჯანსაღი ცხოვრების წესი, სოციალური დაავადებები;</p> <p>9.5. არასრულწლოვანთა დამნაშავეობა;</p> <p>9.6. კორუფცია;</p> <p>9.7. ტრეფიკინგი, უსაფრთხო მიგრაცია;</p> <p>9.8. გლობალიზაცია;</p>
10. ეკონომიკა	<p>10.1. ეკონომიკის ძირითადი საკითხები;</p> <p>10.2. ძირითადი ეკონომიკური სისტემები;</p> <p>10.3. ბაზარი და კონკურენცია;</p> <p>10.4. ეკონომიკური საქმიანობა, მეწარმეობა;</p> <p>10.5. შრომის ბაზარი;</p> <p>10.6. პროფესიონალიზმი და ცოდნის ეკონომიკა;</p> <p>10.7. კეთილდღეობის არსი და მნიშვნელობა;</p> <p>10.8. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები;</p> <p>10.9. საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება;</p> <p>10.10. სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და პოლიტიკა;</p> <p>10.11. ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, გადასახადები;</p> <p>10.12. ფული და მისი ფუნქციები.</p>